



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N 24

ქ. გარდაზანი

30.09.2024



24-06-4-202409301531

გარდაზნის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-12 პუნქტს „ა“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაზნის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოების წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარდაზნის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის №18 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 27/09/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016558).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ გედესაური

საკრებულოს თავმჯდომარე

